# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდგაც.— კვირა, 19 მარტი 1900 წ. № 1076

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## მთელ სიცოცხლეში სამყოფ შემოსავალთა დაზღვევა.

ვისაც სურს მიიღოს ხოლმე თავის თანხიდან შეუცვლელი და უფრო მეტი შემოსავალი, ვიდრე იძლევა თანხა ჩვეულებრივ სავაჭრო-სამრეწველო საქმეში, მათ ურჩევენ შემოსავალთა დაზღვევას **დამზღვეველ საზოგადოებაში „როსსია“**, ერთბაშად ფულის შემოტანით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დაზღვეულის წლოვანება დაზღვევის მოხდენის დროს . . | 55 წელ. | 60 წელ. | 65 წელ. | 70 წელ. | 75 წელ. | 80 წელ. |
| საზოგადოებაში შეტანილ თანხის მუდმივი შემოსავალი . | $8_{,07}$% | $9_{,44}$% | $11_{,14}$% | $13_{,46}$% | $16_{,08}$% | $17_{,77}$% |

ამ გვარი დაზღვევა გამოსადეგია აგრეთვე უფლება მოკლებულ და დავრდომილ პირთა, მოხუცებულ ერთგულ მსახურთა და სხვათა უზრუნველ ყოფისათვის.

დაწვრილებითი პირობები საზოგადოების გამგეობაში (С.-Петербургъ, Большая Морская, д. № 37) საზოგადოების განყოფილებაში ტფილისში (Сергіевская ул. д. № 6). და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქებში.

**დამზღვევი საზოგადოება „როსსია“.**

ნაღდი თანხა საზოგადოებისა 35.000.000 მანეთს აღემატება. (4—1)



წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—13)

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—31)


### მთავრობის განკარგულებანი

თელავის მაზრის საერობო სადარაჯოს დისტანციის უფროსი, მიღიცის პორუჩიკი ლევან რობიტაშვილი შტატს გარეშე დარჩენილ იქმნა.

## ახალი ამბავი

✦ ხვალ, ორშაბათს, როგორც იციან მკითხველებმა, დაიწყება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა მორიგი კრება, რომელსაც, სხვადა-სხვა საქმის განხილვისა და მარშლების არჩევის გარდა, გასარჩევი და გარდასაწყვეტი აქვს აგრეთვე ქართული თეატრის ბედიღბალიც. საქმე ის არის, რომ ის ვეებერთელა ქარვასლა, რომელიც ჩვენმა საადგილ-მამულო ბანკმა სამუდამოდ გადასცა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას და რომელშიაც მოთავსებულია ქართული თეატრიც,—დღეს დღეობით სრულს გადაკეთებას თხოულობს, რათა შემოსავალი გადიდდეს და შენობა გარეგნობითაც ცოტათი გამშვენდეს.

უწინარეს ყოვლისა სრული გადაკეთება სჭირდება ქართულ თეატრს, რადგან სათანადო უწყებამ თეატრის შენობა წარმოდგენებისთვის საშიშოდ იცნო და მიტომ მისი მოქმედება გააუქმა. ესეც არ იყოს, თეატრს მაინც გადაკეთება სჭირდება, თუ მოვიგონებთ, რანაირად ცივა ხოლმე მასში ზამთრობით და რა უხერხულია დამსწრე საზოგადოებისათვის მისი პარტერი.

ეს გარემოება თავად-აზნაურობის საგანგებო კრებამაც მოისმინა შარშან და ერთხმივ გარდასწყვიტა, რაც უნდა ძვირად დასჯდომოდა თეატრის გადაშენება, უთუოდ გადაეკეთებინა იგი, რისთვისაც ამოირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლივა და შეემუშავებინა თეატრისა და მასთან მთელი ქარვასლის გადაკეთების საქმე.

ჩვენ არ ვიცით, როგორ შეიმუშავა კომისიამ ხსენებული საქმე, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში საზოგადოებაში გავრცელდა ფრიად სამწუხარო ხმა, რომელმაც მძიმედ ჩააფიქრა და დაალონა ყველა ქართველი: კომისიას თურმე ქარვასლის შემოსავლის გასაძლიერებლად სასარგებლოდ დაუნახავს თეატრის შენობის დანგრევა და მის ნაცვლად დუქნების აგება!... ქართული სცენისათვის კი, ალბად სინიდისის დასამშვიდებლად, დაუნიშნავს ყოველწლიური შემწეობა ფულად, თითქო ამ შემწეობას შეეძლოს ქართული თეატრის გამკვიდრება...

ჩვენ არა გვჯერა, რომ ვისმე ხელი მოეწეროს ასეთ გარდაწყვეტილებაზე და შესაძლოა, რომ ეგ ხმა ჭორიც იყოს. ვინ არ უწყის, რომ ქართული სცენისა და თეატრის დღეგრძელობა მჭიდროდ არის დამოკიდებული საკუთარ შენობაზე; თუ ჩვენს სცენას საკუთარი თავშესაფარი არ ექმნება, ამდენი ხნის შრომა და ჯაფა ჩვენ სამუდამოდ დაღუპული გვგონია.

ამ უკანასკნელ ათი-თორმეტი წლის განმავლობაში ჩვენს თეატრს თუ ცოტაოდენი ძალა ეტყობოდა, ამის უმთავრესი მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ სცენას საკუთარი ბინა ჰქონდა. დანგრევა კი არა, თავად-აზნაურობა მოვალეა სხვა ადგილებშიაც აღმართოს ამ ხელოვნების ტაძრები, რადგან ქართულმა თეატრმა საქვეყნოდ დაამტკიცა, თუ რა ძლიერი ზედ მომქმედი ყოფილა იგი ჩვენის ცხოვრებისათვის; ამას ნათლად მოწმობდა წელს დიდის ამბით გარდახდილი დღესასწაული ქართული თეატრის 50 წლის საგანგებოდ ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო.

ჩვენ გვჯერა, რომ თუ მართლა ხვალ თავად-აზნაურთა კრებას მოხსენდა აზრი თეატრის გაუქმების შესახებ, კრება ერთხმივ უარ ჰყოფს ამ აზრს, ვითარცა ქვეყნის საზარალოს და მავნეს.

✦ როგორც იციან მკითხველებმა, პეტერბურგში აღძრული იყო კითხვა შესახებ ბათუმის ახლო მყოფ, ეგრედ წოდებულის, **ნავთის ქალაქის** გადატანისა. ამ კითხვის განსახილველად არჩეულმა კომისიამ არ სცნო საჭიროდ ამ „ქალაქის“ სხვაგან გადატანა, მხოლოდ დაადგინა შეცვლილ იქმნას წესები როგორც ნავთის შენახვისა, აგრეთვე იმით გემების დატვირთვისა, რათა უშიშარ ჰყონ ეს ადგილი ცეცხლის გაჩენისაგან.

✦ გაზეთ „კურიერის“ სიტყვით, მოსკოვის ლაზარევის ინსტი-

ტუტის პრივატ-დოცენტი ა. ს. ხახანაშვილი დანიშნა ქართულ ლიტერატურის დოცენტად მოსკოვის უნივერსიტეტში. ეს კათედრა არსდება ხსენებულს უნივერსიტეტში თანახმად ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის დადგენილებისა.

✦ მოსკოვის გაზეთ „კურიერის“ უკანასკნელ ნომერში (13 მარტს) დაბეჭდილია ე. ნინოშვილის მოთხრობა „განკარგულება“. შენიშვნაში გაზეთი ჰბეჭდავს ბიოგრაფიულ ცნობებს ჩვენის გარდაცვალებულის ბელლეტრისტის შესახებ.

✦ დღეს, 19 მარტს, გორის ეპისკოპოზი ლეონიდე აკურთხებს **სამღვდელო სახლს და მასთან ორ სამრევლო საეკლესიო სკოლას** (ქალთა და ვაჟთათვის) სურამის ქუჩაზე (კუკიაში), კაპრანოვის სახლებში.

✦ ტფილისის **საბჭოს** ხვალინდელ **კრებაზე** დანიშნულია განსახილველად შემდეგი საგნები: 1) გამგეობის და კომისიის შეერთებულ კრების დადგენილება ფუნიკულიორის გაკეთების ექსპლოატაციის შესახებ მთაწმინდაზე და აგრეთვე არზუმანოვის განცხადება ფუნიკულერის შესახებ გამგეობის დადგენილებითურთ; 2) ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებლის წინადადება რიყის წყალდიდობისაგან დაცვის შესახებ; 3) ინჟ. ლინდლეის საკანალიზაციო პროექტის შესახებ გამგეობის დადგენილება; 4) ქალაქის მდივნის არჩევა; 5) ლომბარდის გამგის არჩევა და სხვანი.

✦ გუშინ წინ ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება თ. ჩერქეზიშვილისა შესახებ არზუმანიანცის წინადადებისა **ფუნიკულიორის** გაკეთებაზე. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ, რადგან საბჭომ დაავალა გამგეობას და კომისიას შეედგინათ პროექტი ხელშეკრულებისა, გამგეობას უფლება არა აქვს ახალი პირობების განხილვისა და ამისათვის გადასწყვიტა წარუდგინოს საბჭოს არზუმანიანცის თხოვნა. ქალაქის თავი არ დაეთანხმა ამ აზრს და გამგეობის დადგენილება ქალაქის თავის განსაკუთრებული აზრით წარედგინება საბჭოს. ქალაქის მოურავის აზრი ის იყო, რომ გამგეობამ დროს შესამოკლებლად ახლავე განიხილოს არზუმანიანცის პროექტი და რობისთან შესაკვრელად შემუშავებულ პირობებთან ერთად წარედგინოს ქალაქის საბჭოსო. საკვირველი ის არის, რომ ლიტრას საითაც უნდათ ყურს იქით გამოაბამენ ხოლმე.

✦ ქალაქის თავი დაეკითხა ბ. რობის,—ჰსურს თუ არა მას შესცვალოს თავისი პირობები შესახებ **ფუნიკულიორის** გაკეთებისა მთაწმინდაზე, რადგან მას გამოუჩნდა მოცილე, რომელიც თითქო უკეთეს პირობებს იძლევაო. მან უპასუხა, რომ რადგან მე ბევრი ხარჯი მომივა თეატრის გაკეთებისა, ტყის გაშენებისა და კოჯრის რკინის გზის გაკეთებისათვის, ამიტომ მე არ შემიძლიან პირობის შეცვლაო.

✦ როგორც შევიტყვეთ ჩერნომორიის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად ჰნიშნავენ ბ. **გოლგოვს** გარდაცვალებულის გრებენშჩიკოვის მაგიერად.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი აცხადებს, რომ პოლიციაში, გუბერნიის მმართველის ნება-რთვით, იღებენ **შემოწირულებას** იმ ოჯახთა სასარგებლოთ, რომელნიც დააზარალა ამას წინად დიდუბეში გაჩენილმა ცეცხლმა.

✦ სატახტო ქალაქის გაზეთებში ვკითხულობთ: „ამ ჟამად ყველა **სახაზინო მიწები კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე**, რომელნიც დანიშნულნი იყვნენ კერძო პირთათვის დასარიგებლად, უკვე დარიგებულ-განაწილებულნი არიან. მაგრამ რადგანაც სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კიდევ ბევრი თხოვნა მოსდის ადგილების მიცემის შესახებ, სამინისტროს გარდაუწყვეტია კიდევ მოსძებნოს და დაურიგოს მსურველთ სახაზინო მიწები კავკასიის სხვა ადგილებში.“

✦ დღეს, 19 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში, მოხდება **საერთო კრება ტფილისის ნაფიც ვექილებისა**. კრებაზე უნდა აირჩიონ თავმჯდომარე, თავმჯდომარის თანაშემწე და წევრები ნაფიც ვექილთა კომისიისა, რომლის წესდება დამტკიცებულ იქმნა 26 წარსოლ თებერვალს.

✦ ავლაბრის მცხოვრებთ გარდაუწყვეტიათ აირჩიონ დეპუტაცია, რომელმაც შუამდგომლობა უნდა აღძრას **ტფილისის სკომერციო სასწავლებლის** სამზრუნველოს წინაშე იმისი შესახებ, რომ ხსენებული სასწავლებელი ავლაბარში იქმნას მოთავსებული. ავლაბრელები თხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ ავლაბარში თითქმის სულ ვაჭრები სცხოვრობენ და მათთვის კომმერციულ სასწავლებელს დიდი მნიშვნელობა აქვს და იმით, რომ ავლაბარში სრულიად არ არის საშუალო სასწავლებელი.

✦ დღეს, 19 მარტს, საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების დარბაზში (გოლოვინის პრ. № 45) ბ. კლაუსსენი წაიკითხავს მესამე საჯარო ლექციას **ხეხილის მოვლის შესახებ**. ლექციაზე დასწრება ყველა მსურველს შეუძლიან.

✦ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ექიმი მაჭავარიანი გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებთათვის **ყვავილის ასაცრელად**.

✦ რუსულ გაზეთების სიტყვით, ერთს ჩვენს თანამემამულეს, პ. ს. გამრეკელს, სადაც ჯერ არს წარუდგენია შესამოწმებლად მის მიერ გაუმჯობესებული **მიკრო-ტელეფონის მანქანა**.

✦ ტფილისში განზრახულია დაარსება არტელისა, რომლის მოვალეობა იქმნება მსურველთ მოუძებნოს და დაუქირაოს **მოსამსახურენი**. გარდა ამისა არტელი განიხილავს ხოლმე უთანხმოებას, რომელიც ჩამოვარდება პატრონთა და მსახურთა შორის.

✦ 1-ლ აპრილიდან შემცირებული იქმნება ტარიფი ქაღალდის გადაზიდვაზე რკინის გზებით. ეს უეჭველია გამოიწვევს **ქაღალდის გაიაფებას**.

✦ ოფიციალურის ცნობებით, განჯის გუბერნიის ყაზახისა და არეშის მაზრაში **საქონლის ჭირი** გაჩენილა.

✦ ტფილისში ამ ბოლოს დროს **დიფტერიტი** მძვინვარებს.

✦ ქუთაისის გუბერნიაში აარსებენ სამს ახალს თანამდებობას **სოფლის გზების ყურისმგდებელთა**.

✦ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია მოუმატოს ექიმთა რიცხვს აქაურ რკინის გზის საავადმყოფოში და ამისათვის საჭირო ხარჯი დაუმტკიცებიათ კიდეც. დოსტაქრის ადგილზე რკინის გზის საავადმყოფოში უკვე მიუწვევიათ ექიმი **გოიანი**.

✦ აქაურ რკინის გზის მმართველობამ გადასწყვიტა **იშუამდგომლოს** მმართველობის წინაშე შესახებ ნავთის მილის გაკეთებისა სადგურ მიხაილოვიდან ბაქომდე, რადგან ნავთის საზიდათ არც მატარებლები ჰყოფნის და სადგურების სიშორეც ხელს უშლის გზის ასაქცევად. მილის გაკეთებას აპირებენ ნაწილ-ნაწილ.

✦ გერმანიის რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის ერთი კარგი საქმეა მოწყობილი. ბერლინში სხვა და სხვა რკინის გზების მმართველობანი ერთად ჰბეჭდვენ ჟურნალს, რომლის წმინდა შემოსავალიდან არსებობს ფონდი რკინის გზებზე მსახურთა დასახმარებლად. რადგანაც ჟურნალის ფასი მცირეა — 3 მანათი წელიწადში, — ამიტომ ბევრი ხელის მომწერი ჰყავს და კარგი შემოსავალიცა აქვს. დახმარება გამოიხატება იმაში, რომ ხელის მომწერის გარდაცვალების მეორე დღესვე ჟურნალის რედაქცია მის მემკვიდრეთ უგზავნის 500 მანეთს. რუსულ გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად რუსეთის რკინის გზებზე მოსამსახურეთათვისაც ჰსურთ ამგვარი საქმის მოწყობა.

✦ გასულ წელს ბაქოსა და მის მიდამოებში სულ 137 **ფაბრიკა და ქარხანა** ყოფილა; მათში მუშაობდა 42.074 კაცი. წლის განმავლობაში ყველა ფაბრიკებისა და ქარხნების ნაწარმოების ფასი აღემატება 45.779.467 მანათს.

✦ 16 მარტს, ლაბორატორიის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში **გაუქურდავთ** ივ. ერვიე. რკინის ზანდუკი გაუტეხიათ და წაუღიათ 2000 მანეთის ოქროსი და ბრილიანტის ნივთები. ეჭვი აუღიათ გრიგოლ ჯანგილიძეზე, რომელიც ერვიესთან მოსამსახურეთა მდგარა. გაუჩხრეკიათ მისი სახლი და უპოვიათ მხოლოდ ერთი „ბროშკა“ და ერთი ოქროს ბეჭედი. ჯანგილიძე დაუპატიმრებიათ.

✦ დაბა ჭიათურიდან «ივერიას» ატყობინებენ, რომ იქ 14 მარტს, საღამოს 9.—10 საათზე, ერთი მეტად **საზიზღარი მკვლელობა** ჩაუდენიათ: ერთს სამიკიტნოში ყოფილა საქეიფოდ ლხინიგო-უქმაძენი. ამ დროს რაღაც საქმისთვის შესულა სამიკიტნოში პოლიციის მოხელე მიხეილ კავთელაძე, რომელიც მიუწვევიათ და ერთს მათგანს ღვინო მიუწოდებია. შემდეგ ერთს უთქვამს: «გახსოვს, მიხა, შენ რომ იარაღი ჩამომართვი და პოლიციაში წაიღეო?» —„მახსოვსო, უთქვამს კავთელაძეს, მაგრამ ის ხომ ჩემი ბრალი არ იყო, ბატონო, უფროსმა მიბრძანა და შევასრულე, თორემ ჩემად რა უფლება მაქვს, რომ იარაღი ჩამომერთვაო» —«კარგი, კარგი და მე, თუ ცოცხალი ვარ, გაგისწორდებიო», დამუქრებია იგი. შემდეგ მოქეიფენი გასწორებიან მედუქნეს და გამოსულან, ხოლო კავთელაძე სამიკიტნოში შეჩერებულა და როცა ისიც გამოსულა კარში, კარს უკან დასხვდრიან კავთელაძეს, რომლისათვისაც ერთ მოქეიფეთაგანს უკრავს მუცელში ხანჯალი და გულ-ღვიძლი სულ გარედ გადმოუყრევინებია. დაცემულს კავთელა-

ქს მისცვივდნენ სხვები და დანაკლისი შეუსრულეს. კავთელამე მეორე დღეს დიდის ტანჯვა-წვალებით გარდაცვლილა. დამნაშავენი უკვე შეუპყრია პოლიციას და გამომძიებლისათვის გარდაუცია.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს მოუწერია ქალაქის მოურავისთვის, რომ ქალაქის მოედნება მეტე ნაწილში ანტისანიტარულ მდგომარეობაში არიანო და ქალაქის მუშები სრულიად არ ზრუნავენ მათ გასუფთავებისთვისაო.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

17 მარტი

**ალჟირი.** ოაზისი ინშარი ტიდიკელსის მხარეში დაიპყრო საფრანგეთის ჯარმა სასტიკის ბრძოლის შემდეგ. ბრძოლაში ფრანგებს მოუკლეს 2 ოფიცერი და 9 მსროლელი ჯარის კაცი და დაუჭრეს რამდენიმე; არაბებსა და მარროკონელთ მოუკლეს 600 კაცი, დაუჭრეს 1000 და ტყვედ წაიყვანეს 500.

**ლონდონი.** გემის პატრონმა კოშკინმა შეიძინა აქ საუკეთესო ხარისხის გემი „მაკკო“, რომელიც ივლის პეტერბურგსა და დონის როსტოვის შუა. გემი, რომელსაც დაერქვა ახალი სახელი „დოვერიე“, წამოვიდა უკვე ქვა-ნახშირით დატვირთული ნიუკესტლიდან კრონშტადტისაკენ.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში გენერალმა გალიფემ წაიკითხა გენ. გრიზოს დეპეშა ინშარის დაპყრობის შესახებ. დეპეშა იტყობინება, რომ ქალაქი დაპყრობილ იქმნა იერიშის მიტანით სასტიკის წინააღმდეგობის შემდეგ. მტერს მოუკლეს 600 კაცი და დაუჭრეს რამდენიმე ასი კაცი; 450 კაცი ტყვედ იქმნა წაყვანილი და მათ შორის გუბერნატორი ტუატა. ფრანგებს მოუკლეს 9 კაცი და დაუჭრეს 38, მათ შორის ორი ოფიცერია. სამხედრო მინისტრმა დაავალა გენ. გრიზოს მოულოცოს საექსპედიციო ჯარს გამარჯვება.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერა 17 მარტს ქალთა საიმპერატორო პატრიოტულ საზოგადოების სკოლა.

**კიმბერლეი.** მეტუენი დაბრუნდა აქ ცხენოსანის რაზმებით ბარკლეის ოლქიდან. მეტუენი ლიკატლონგში იყო, როდესაც მიიღო რობერტსისაგან ბრძანება კიმბერლეიში დაბრუნების შესახებ.

**კოპენჰაგენი.** რამდენმამე ადგილობრივ და უცხოელთა ბანკებმა მიიღეს თავის თავზე დანიის სახელმწიფოს ახალის სესხის გამოცემა. სესხის ჯამი 20 მილ. კრონამდეა.

18 მარტი

**პეტერბურგი.** დანიშნულ იქმნენ: მისი უდიდებულესობის კანცელარიის მმართველი გრაფი არმფელდი დიდის სამთავროს ფინლიანდიის მინისტრის თანაშემწედ; ოდესის უნივერსიტეტის რექტორი შვედოვი—იმავე უნივერსიტეტის რექტორად 4 წლით.

**ლონდონი.** გარდაიცვალა სამხედრო კორრესპონდენტი არჩიბალდ ფორბსი.

**პრეტორია.** დღეს დილას, ქალაქის ყველა მცხოვრებთა და აგრეთვე უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა თანადასწრებით გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ჟუბერის სულის მოსახსენებლად. ინგლისის ოფიცრებმა, რომელნიც პრეტორიაში არიან ტყვედ, შეამკეს კუბო გვირგვინებით.

**ბლუმფონტეინი.** რადგანაც მტერი აწუხებს ბურგერებს, რომელნიც ინგლისელებს დაემორჩილნენ, რობერტსმა საჭიროდ დაინახა ბურების განდევნა სადგურ კარრის ახლოს მდებარე მთებიდან, ბრანდფორტიდან 3 მილის მანძილზე. ქვეითა ჯარმა და კავალერიის ბრიგადამ ეს საქმე ჯეროვანად აღასრულა. ბურებმა დაიწიეს ბრონდფორტისაკენ, მხოლო ინგლისელებმა დაიკავეს მთები. ინგლისელებს მოუკლეს ერთი კაპიტანი; დაუჭრეს 2 პორუჩიკი და 5 კაპიტანი. ასამდე ჯარის კაცია დაჭრილი და მოკლული.

**ლისსაბონი** გარეშე საქმეთა სამინისტრომ წაუკითხა პარლამენტს დეპეშა ბერნიდან, რომლითაც იტყობინებიან დელაგოას ნავთ-სადგურის შესახებ დადგენილებას. მინისტრმა განაცხადა, რომ მთაერობა სესხის მოუხდენელად გადაიხდის მალე ფულის, რომელიც მას განაჩენის ძალით დააკისრეს.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 17 მარტს.**

| | მყიდვე-ლისა | გამყი-დველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5°/₀-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 216½ |
| 3½°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . | 91 „ | — „ | — „ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5°/₀ ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| 4½°/₀ამავე ბანკისა | — „ | 91 „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . . | 97¼ | — „ | — „ |
| 4½°/₀ იმავე საზოგადოებისა , . , . | — „ | 91 „ | — „ |
| 5°/₀ პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | 296½ | — „ | — „ |
| 5°/₀ მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 258 „ |

**საკალენდრო ცნობები**

**კვირა,** 19 მარტი; ახლი სტილით 1 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 287 დღე. მთვარის მე-3 დღე. დიდი მარხვის ოც-და-მერვე დღე. ხსენება მოწ. ქრისანფისა და დარიასი, ინოკეტისა და კლავდიასი.

**ორშაბათი.** 20 მარტი; ახალი სტილით 2 აპრილი წლის დასრულებამდე დარჩა 286 დღე. მთვარის მე-4 დღე. ოც-და-მეცხრე დღე. დიდი მარხვისა. ხსენება ღირსისა იოანნესი, სერგისა, პატრიკისა და სხვათა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

**ნ ი ხ რ ი**

ხორცი ძროხასა 1 გ. —10 კ.
სუკი . . . . 1 » —15 კ.
» ცხვრასა . » » —11 კ.
» კამეჩისა. . » » — 5 კ.
» ღორისა. . » » — 8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 »
იგივე თორნისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
ლავაში ჯვ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოკზალეზე, | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . | 1 | — 38 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — | — |
| » ფქვილი მდარე. | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10°/₀ შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყო-

ფება კოჯრის ქუჩაზე, ზარონსკა ტიზენჰაუზენისა და გაუზოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის სააავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექენზე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

**მატარებელი № 5** ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

**მატარებელი № 6** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

**სამტრედიიდან** ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მოდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ორმ9 წ. საღ.

**ფოთიდან** მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

რიონიდგან ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

---


# განცხადებანი

**მექვს კარგს ალაგზედ შეშის და თხის ნახშირის საწყობი.** ვეძებ ამხანაგს. მსურველს შეუძლია იკითხოს „სემეინი ნომრებში“, დაბლა, ალექსანდროვის ბაღის პირდა-პირ. (3—1)

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, ამა 1900 წლის 22 მარტს, დანიშნულია ვაჭრობა, სახლის აშენებლად ავჭალის წყლის მილის უფროს ზედამხედველისათვის და აგრეთვე ავჭალის წყლის მილის შენობათა შესაკეთებლად სულ საქმე 5653 მან. 16 კაპ. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან ვაჭრობის პირობანი განიხილოს გამგეობის სატეხნიკო განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე. ნ. 3—2

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 20 მარტს 1900 წ. დანიშნულია ვაჭრობა, უსუფთაობის მილის გასაკეთებლად ტროიცკის ქუჩაზე, ადამიას სახლის კარებამდე სიგრძით 67 საჟენამდე და 1560 მანეთამდე ღირებული.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან ვაჭრობის პირობანი განიხილოს გამგეობის სატეხნიკო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (ნ. 3—3)

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— „ |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა კრეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პრევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რმე მისიგე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

## გლესი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |

ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . 30 „

იგდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . 30 „

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. გუნია.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Марта, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.